სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2026-2027 წლების ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმის შესარჩევი საკონკურსო
კომისიის
განცხადება

საქართველოს პარლამენტის 2026 წლის 9 ივნისის N1670-Vმს-XIმპ დადგენილების საფუძველზე შექმნილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2026-2027 წლების ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმის შესარჩევი საკონკურსო კომისია საქართველოს პარლამენტის სახელით აცხადებს კონკურსს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2026-2027 წლების ფინანსური აუდიტის თაობაზე. საკონკურსო კომისია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 159-ე მუხლის მე-17 პუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს სამ ყველაზე მსხვილ აუდიტორულ ფირმას: "KPMG"-ის, "Deloitte Touche Tohmatsu"-ს, "Ernst & Young"-ს, "

- მომსახურება უნდა განხორციელდეს კონკურსში გამარჯვებულსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად და აუდიტი დასრულებული უნდა იქნეს არა უგვიანეს შესაბამისი წლის 15 მაისისა;
- აუდიტი უნდა ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტორულმა ფირმამ აუდიტის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით;
- ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადებისა და საკონკურსო წინადადებების მიღება დაიწყება 2026 წლის 24 აგვისტოს 10 საათიდან და დამთავრდება 2026 წლის 31 აგვისტოს 18:00 საათზე;
- განაცხადები და საკონკურსო წინადადებები მიიღება ქალაქ თბილისში, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8, ტელ: +995 32 2 28 13 15; კონკურსში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პრეტენდენტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება

შეუძლიათ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატში (ზემოაღნიშნულ მისამართზე) სამუშაო დღეებში (10 საათიდან 18 საათამდე): ტელ: +995 32 2 28 13 15; მობილური ტელ: 599 85 87 50 საკონტაქტო პირი: ირინა ლომია; ელ.ფოსტა: ilomia@parliament.ge, გიგი ელიზბარაშვილი gelizbarashvili@parliament.ge;

- კონკურსში გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.